

საბჭოთა კავშირის საბავშვო პრესა
 9/4
 1940
 5 ლარი
 № 221

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР




ნახ. შიხ. ლებეშვიცისა

მეგობართა გაჭირვება

- მარჯვედ მოუსვი ბადეს, მაღამ, ეს ქაშაყიც არ გაგვისხლ ტეს.
- ცოტა შენც გაინძერი სერ, სულ შენი უშნობის ბრალია, რომ დაჭერილებიც გაგვირბიან.

„ნორვეგიაში მოკავშირეთა დაპარცხების გამო ინგლისის პრესა მკაცრად ილაშქრებს თავისი მთავრობის წინააღმდეგ. განხეთქილი მინისტრობის მინისტრობის გადადგომას“

ქვემოთაა მოცემული სურათები



— ექიმო, ეს მეჭეჭები მალე უნდა მომიჩინო, თორემ ძლიერ მიშლის მოვალეობის შესრულებას.
— ჩემის აზრით ეს მეჭეჭები არაფერ შუაშია — სერ, თქვენ წლოვანების მეჭეჭი გიშლით ყველაფერს.

ა მ ბ ა ვ ი უ მ ო რ ვ ე დ ი კ რ ა ვ ე ბ ი ს ა

1

ექვა, მოგითხრათ ამბავი—ნიაზთა გულში მძრავები, თუ ევროპის ცას ვით ჰხევენ ქვემეხები და ძრავები, თუ ვით ბულბულენ მღერიან—იქ ჩენტლემენები ყვავები, ან მგლებს ვით შეუმოსიათ ტანზედან ცხვართა ტყავები, ანგელოზებად ვით იქცნენ აწ ბრიტანული სვავები, ფრანგულ აფთრებს კი უეცრად ნახავთ გამხდარან კრავები და მათ უმანკო ზრახვებით გული აქვთ ანაზვავები. ჰსურთ ხალხთა სისხლის ზღვა დადგეს—ზედ მოაცურონ ნავები... თანაც ამ ნატვრის ახდენას განა დიდი რამ სდომია? თქვენც არ მომიკვდეთ,—იკმარებს უფრო გაჩაღდეს ომია, კაჩაღდეს, ხანძრად გადიქცეს—მსოფლიოს გადამწვდომია, რომ ხელს ითბობდნენ კრავები—მის წინ კუნტრუშით მხტომია. სურვილს რომ საქმის გარეშე—ფუძე არა აქვს მტკიცია, ეს იმ კრავ-ანგელოზებმაც აკი მშვენიერად იციან, და საქმის საჭახრავებლად ფუსფუს-ფაფხურით იღწვიან. (ასე არ დაშვრენ, მამ რა ჰქნან, რალა კეფაში იციან?)—ხელს რკინის ჯოხი აიღეს, ჩლიქებს დაიკრეს ნალები, იქ მიტუნცულდნენ, საც ნახეს ქვეყნები ნეიტრალები, ვინც გააბრიყვეს, დაუნთეს ეზოში ომის ალები, მაგრამ მოიცათ, ვინ ვნახოთ ბოლო დროს ნამტირალები.

2

კრავ-ანგელოზ ჩენტლემენმა, კრავ მადამსა შეუთვალა: „ფალაენად მყავს პოლონეთი, მწამს პანების შნო და ძალა, მშრომელ ხალხის დაჩაგვრაში ნაცადი მყავს თვალდათვალა: დავბირდი და დამიჯერა, ხვეწნა არც კი დამაცალა, შენ ვინდა გყავს კრავო მადამ, თეთრი პანის ძმად და ცალად? აწ მადამმა უმალ თავი მოირევერანსიანა და პასუხი—სასიამო იმავ შიკრიკს გაატანა: — ფალაენი? რასა ბრძანებ, დევგმირი მყავს იმისთანა, რომ კბილები ფრკინას კენეტავს,—შენ თეთრ ფინეთს არ ცნობ განა? თანაც, ძმომ, ანგელოზო, რომ ვსთქვათ სწორი, მართალიო: ჩვენ ხომ ერთად შევისყიდნეთ ამნაირი „ფართალიო?“ შეგვჭურვეთ და შეგვიჩილეთ ეს ტარასკონ—სარდალიო, დავსაქმოთ და გამოგვადგეს, არ გვაჭამოს სკანდალიო. ჩენტლემენმა გადაპარსულ უღვაშებში ჩაიციანა,

— „პოლორაიტო“ შეუთვალა,—და ალერსით შესციცინა,— საბჭოეთის ჯავრი მახრჩობს, მინდა გატყდეს მისი რკინა, ამ დღეებში ლენინგრადში მსურს დავილო მკვიდრი ბინა, იქიდან ხომ მოსკოვს მიდის გზა და, მინდა დავიჯერო, შენთან ერთად, სხვისი ხელით მე ორ კურდღელს დავიჭერო: საბჭოეთს ხომ წინ არ უდგას? გთხოვ ეს გულზე დაიწერო, შენ იმ ბერლინს წიხლი წაჰკარ, მე კი—მასაც დავიჭერო, პოლა, აი, ამის შემდეგ, ჩემო კრავო, ჩემო ციცავ მეც ერთგულად გიმიჯნურებ მაგ უუუუნა თვალებს ვფიცავ; დავჯდეთ, ერთად ვირიკაოთ, ზღვაც ჩვენა და ხმელეთიცა!“

მადამ კრავმა, კვლავ ჩენტლემენს მისწერა და მიესალმა: — „ჩემი სიყრმის ანგელოზო, მომსპო შენზე ლეღვის ალმა, ეს რა ხათას გადამქიდა ე მაგ შენმა მკლავის ძალმა? ტვირთი ტვირთზე მოვიმატე—უმისოდაც ნატვირთალმა, პანები რომ გაგვიბენტეს, თეთრ ფინელთა დადგა ჯერი, ბურღლა-ბურღლად მოგვყარა წითელ ჯარმა მათი მტვერს,— აწ შემდეგი ფალაენი ნორვეგია იყო ჩვენი, მაგრამ მითხარ, რატომ გავხდით იქაც სველში ჩანაჯენი? თუ იკითხავ ჩემს ამბავსაც, არა მიშავს, კი ვარ მარჯვედ, მაჟინოსთან დავიკა ვტკეპნი, მაგრამ ზურგში გავიმარჯვე... კომპარტია ავკრძალევი, გადასახადს კვლავ ვადიდებ, მაგრამ ძილი გამკრთომია ამ მუშების გადამქიდე! ახლა შენგან ველი—მანდაც აწ ჩემნაირ იახშიოლს, დამიჯერე, ვერა ნახავ გამოსავალს—უფრო იოლს. მაგრამ ერთი დარდი გაჩნდა, მას ვერ იტევს ჩემი მკერდი: თქვენს პრესაში წავიკითხე—თურმე უკვე დამიბერდი! ამას შენგან არ ველოდი, არც მინდოდა დასაჯერად, იქნებ თავი შეიკავო, სიბერისგან რამეფერად!... თორემ მარტო ხომ ვერ წავალ ორი კურდღლის დასაჭერად?“

გოლოსნიტავოგა

როგორც ვიცით, კრავ ჩენტლემენს საწერილოდ არ „სცხავს“ დღესა, იგი უცბად აღმოჩენილს—ებრძვის თავის სიბერესა!

შარსაღანი

სიმბუქის მკობი



ქართული
საბჭოთაო

„...და აი ახალი პროექტით გამოდის, რომ კინოთეატრისათვის შენდება დიდი შენობა, რომელშიც, ყოველგვარი გრცელი დაშვებით შენობათა გამო თვითონ კინო-თეატრს აღარაფერი რჩება“.

(„პრავდა“ 5/II—1940 წ.)

ესე იგი, მაშასადამე მოსახლეობის კულტურის მძაფრი ზრდის გამო, ახალი კინო-თეატრი უნდა ავაშენოთ!

ასე დაამთავრა გენადიმ თავისი ორსაათიანი სიტყვა კრებაზე.

კამათი დიდხანს არ გაგრძელდებოდა. მართლაც ამობოდა ძველი კინო-თეატრის დირექტორი გენადი. ერთხმად გადაწყდა ახალი შენობის აგება. ხელმძღვანელობა თვით გენადიმ იკისრა. მან თავისი შტატი კიდევ უფრო გააძლიერა და მუშაობას შეუდგა.

— მთავარია მშენებლობის კულტურა, — იძახდა გენადი. — მეტი ყურადღება მათურებელთა კულტომოსახურებას. ამის მიხედვით შევადგინოთ შენობის გეგმა.

და დაიწყო დაპროექტება, დაგეგმვა, ხაზვა და ხატვა. თვი რამდენიმე თვეს გრძელდებოდა.

— უდიდესი ყურადღება ფასადს, — გაიხსენოდა გენადის ომანიანი ხმა: — ექვსი აივანი, თითო აივანზე ორასი კაცია უნდა დაეტეოს.

— რად გინდა კაცო, ამოდენა აივნები?

— იყოს, მეტი კულტურაა. თქვენ რა გენადვლებათ, მათურებელი აივანზე გავიდეს და თვალს წყალი დააღვინოს?

— რა უნდა ღამით ხალხს აივნებზე?

— როგორ თუ ღამით?

— მაშ კინო-სეანსები ღამით არ იქნება?

— მერე რა ვუყოთ? იქნება დღისითაც იქნეს. ზუსტად უაივნოდ ხომ ვერ გაახელთვალს? ამას გარდა, მოიგონეთ დღის კინო.

არანაკლები ყურადღება მიექცა ვესტიბიულებს. საერთო სივრცის შესაბამისი ვესტიბიულებს, დერეფნებს და კიბეებს ეჭირა. გენადი უფრო შორს წავიდა: როგორც პირველ, ისე მეორე სართულში ფოიეები გაითვალისწინა. თითო ფოიე ოთხას კაცს იტევდა ერთდროულად. პირველ სართულზე გათვალისწინებული იყო კაფე-რესტორანი, ლუდხანა, ესტრადისასხლე ორკესტრით და აზიური ცეკვებით.

— მეორე სართულზე კაფეტერი, ყავახანა და ის... რა ჰქვიან... კოხტა ელიზბარი, თუ რა ჰქვიან?

— კოქტილბარი, — გაუსწორეს გენადის.

— ჰო, კოქტილბარი. იქვე უნდა იყოს, ესტრადისა და ევროპული ცეკვებისათვის.

რად თქმა უნდა, დიდის კომფორტით დაპროექტეს თამბაქოს მოსაწევი ოთახები საპირფარეოებში, საპარკმახერო და მანიკიურ-პედიკიურის კაბინეტები.

— ახლა შხაპებზე მოვიფიქროთ.

— კაცო, რა შხაპები უნდა კაცს კინოში შესვლის წინ? ან სად ექნება მაგის დრო?

— უნდა იმოვოს. თუნდაც სურათი დასტოვოს და შხაპი მიიღოს, არც ეგ იქნება ნაკლები კულტურა, — ავტორიტეტულად ამტკიცებდა გენადი.

მაგრამ ყველაფერი ეს ხუმრობა იყო გენადის თანაშემწე ეკვილიბრის კაბინეტთან შედარებით. ეს კაბინეტი დაპროექტდა პირველ სართულზე, კაფე-რესტორანის მარცხენა მხარეს. ორმოციოდე კვადრატული მეტრი იყო ეკვილიბრის კაბინეტი, მშენიერი მაგიდები, სავარძლები და კარაღები ამშვენებდა მას.

— კულტურაა ყველაფერი, — ამბობდა გენადი, — როცა მათურებელი შემოვა, კულტურის სიტბო უნდა იგრძნოს.

— კაცო, მათურებელს კაბინეტებში რა ესაქმება?

— რომ დასჭირდეს, მაშინ სად მიდინარ? ირწმუნებოდა გენადი.

ეკვილიბრიც უხერხულად გრძნობდა თავს: ასეთი მშვენიერი კაბინეტი რომ გამიკეთოს, (თავითონ — კინოთეატრის დირექტორი სად მოთავსდებოთ.

მაგრამ ისე მტრები გაგიქრეთ, როგორც ეს შიში გაჰქრა. დირექტორმა გენადიმ სწორედ მეორე სართულზე, სწორედ კაფეტერიის გვერდით, სწორედ უფართოვესი აივნის გასწვრივ დაპროექტა ისეთი კაბინეტი, რომ კედლებს ლაპლაპი გაჰქონდა. ღამაში ხალიჩები ეფარა იატაკზე, როგოკოს რბილი ავეჯი ამშვენებდა კაბინეტს. დიდი მაგიდის წინ გრძელი მაგიდა იდგა. დიდებულნი ლუსტრა, ქანდაკებები, სავარძლები კიდევ უფრო მდიდრულ ელფერს აძლევდნენ ვრცელ კაბინეტს. წინ პატარა მიწაღები ოთახი იყო გამართული... გენადის ტკბილი ერთხანტელი უფლის, ტანში.

ცალკე დაპროექტდა კაბინეტები ადმინისტრატორისა, მისი თანაშემწისა, სამნეონაწილის გამგისა და კომენდანტისათვის.

— აი, კინო-თეატრის ნამდვილი შენობა! კმაყოფილებით ამბობდა გენადი.

— ერთი ეს მითხარით, საყურებელი დარბაზი სადღა იქნება? — იკითხა იდმინისტრატორმა.

— საყურებელი? ჰო, მართლა, საყურებელი დარბაზი... კარგი არ გაგახსენდა? სურათები ხომ უნდა ვაჩვენოთ მათურებლებს!...

დატრიალდა გენადი და ასეთი დარბაზიც გამოხატა:

— საპარკმახერო გავაუქმოთ! — გადასწყვიტა მან. — ხალხი კინოს სანახავად მოდის და არა გასაპარსად. — მანიკიურ-პედიკიურის განყოფილებაც მოვშალოთ... როგორმე სადმე სხვაგან გაიკეთონ მანიკიურები...

მართლაც საპარკმახერო-სამანიკიურო ოთახების გაერთიანებით მიიღეს კოპწია დარბაზი, სადაც ასამდე კაცი დაეტეოდა.

მართალია, ცოტათი უხერხულია ამოდენა შენობა სპეციალურად კინო-თეატრისათვის ააგო კაცმა და თვითონ კინო-სურათის საყურებლად ას კაცზე მეტი ვერ შეუშვა, მაგრამ, გენადის თქმით, სხვა მხრივ კარგად არის საქმე:

ექვსი აივანი, რვა კაბინეტი და რესტორანი-კაფეტერიები ავსებენ ამ მცირეოდენ ნაკლს.

დიდი იყო გენადის სიხარული მის უზარმაზარ მომავალ კაბინეტში.

მაგრამ ამაზე განუზომლად დიდი იყო მისი წყენა და გაკვირება, როდესაც გაიგო, რომ გენადისა და მისი თანამშრომლების კაბინეტები უნდა გაერთიანდეს და მთელი პროექტი შენობისა ისე უნდა გადაკეთდეს, რომ იგი მხოლოდ მათურებლებს ემსახურებოდეს.

— მათურებელთა დარბაზი თურმე ათას კაცს დაიტევს, — აუხსნა მეგობარმა გენადის.

— მერე კაბინეტები სად იქნება?

— სადაც საჭიროა, ოღონდ არა კინოში.

— რესტორნები?

— რესტორნები-რესტორნებში.

— კაფეტერიები?

— კაფეტერიებში, ხოლო კოქტილბარები — კოქტილბარებში, კინოში კი არა. კინოს შენობა კინოსათვის გამოიყენეთ, — ასეთი მითითება მოსული.

— მე ეს არ მომსვლია...

— შენ არც მოგივიდოდა, რადგანაც კი არ გეწყინოს, დირექტორად ის კირიასა დაუნისწავთ, შენ რომ კრებებზე ვაკრიტიკებდა...

გენადიმ ცხვირი ჩამოაშვა.



მისაგართი

ინგლისელი: (ომის ღმერთს) მასწავლე რა მოვახერხო, ჩვენი გემების გადასარჩენად?
 მარსი: გეტყობა თავის ადგილზე არ ყოფილხარ, მაგის შესა ხებ ზღვის ღმერთს უნდა მიმართო.
 ინგლისი: სად ვნახო, ის ხომ ზღვის ფხვერზე ცხოვრობს!
 მარსი: ეს ადვილია, ჩაჯექი რომელიმე კრეისერში და როცა ჩახსძირავენ...

მსჯავრი პარისისა

მაგდა და ლენა განუყრელი მეგობრები იყვნენ. ორივენი ერთნაირად იცვამდნენ, ერთნაირად იხურავდნენ და ერთნაირად ლამაზები იყვნენ. თავზე ფუმფუ-ლა ბერეტებით, მხრებგანიერი, წელში გამოკვართული დრაპის პალტოებით, მაღალქუსლიანი ლაკის ფეხსაცმე-ლებით. და როდესაც ეს ორი კეკლუცი ქალიშვილი, მრგვალ სათვალეზიანმა ახალგაზრდა მეცნიერმა ჯანი-კო სირბილაძემ გაიცნო, სწორედ პარისის საგონებელ-ში ჩავარდა.

იქნებ ჯანიკოს ბევრი ფიქრიც არ დასჭირდებოდა, რომ ან მაგდას ან ლენას ოდნავი გულგრილობა გამოე-ჩინა მისდამი, მაგრამ უბედურებაც ის იყო რომ ორივე ქალიშვილს თავდავიწყებამდე შეუყვარდა, ეს ოცდაშვი-დი წლის მეცნიერი. ისინი ერთმანეთისაგან დაფარუ-ლად ხვდებოდნენ ჯანიკოს და გულისფანქვალთ მოე-ლოდნენ მისგან სიყვარულის ახსნას. ჯანიკო, როგორც ყოველ საქმიან კაცს ჩვევია, მაშინვე გააბამდა მათთან თავის საყვარელ საგანზე, ფილოსოფიაზე საუბარს, ეს კი—ქალიშვილებს ანერვიულებდა და ისინი ხშირად აწყვეტილებდნენ მას;

დავანებოთ თავის მაგისტრანებზე ლაპარაკს! სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

იმით უნდოდით ჩქარა გაეგონათ ჯანიკოსაგან“ მე თქვენ მიყვარხართ“, შეურაცხყოფილი და გაბუტული ჯანიკო კი ჩუმდებოდა, თითქო პირში წყალი დაეგუ-ბებინოს და ისე მიაცილებდა შინამდე ხან მაგდას და ხან ლენას, რომ ერთ სიტყვასაც აღარ იტყვიდა.

ორივენი მიხვდნენ, რომ ჯანიკომ არ იცოდა სიყ-ვარულზე ლაპარაკი ქალებთან. ამ შემთხვევაში, მეგო-ბარი, მესამე პირია საჭირო და ვინაიდან ერთმანეთს ამ საქმეში არ ენდობოდნენ ამიტომ სიყვარულში და-ჩაგრული ნინო მოიშველიეს.

ნინო იმით იყო დაჩაგრული ცხოვრებაში, რომ ოდნავ ელაში იყო, ოდნავ კოჭლი და ოდნავ კუზიანი. მართალია, მოხდენილი კეკლუცი სიარულით, თვალის ოდნავ მოჭუტვით და ბეჭის გამართულად ტარებით ის ყველა ამ ნაკლს ოსტატურად ფარავდა, მაგრამ საკ-მარისი იყო კარგა დაახლოვებოდით, ხელიხელ გაყრი-ლი გაგველოთ მასთან, ან თვალზეში ჩაგენდათ, რომ ყველაფერი თვალსაჩინო ხდებოდა. მიუხედავად მიზი-დველი შესახედაობისა, ნინო მანაც ვერ ეღივრა სიყვა-რულს და ერთადერთ ნუგეშს მისთვის მაქანკლობა წარ-მოადგენდა. ანგარების მიზნით კი არა—შორს მისგან ანგარება—არამედ ხელოვნების თვალსაზრისით, ნინო სწრაფად იგებდა თუ სად იმეზობდა სიყვარულის

იდუმალი ძაფები და ისიც იქვე იყო. ქალიც და ვაჟიც დაურიდებლად ანდობდნენ ნინოს თავიანთ გულის საი-დუმლოებას და სიყვარულის ალში დამწვარი ხალხის განცდები აცოცხლებდნენ ნინოს.

ნამდვილი გაჭირვების ტალღეები იყო.

ასე ცხოვრობდა ნინო და მიაბიჯებდა სიბერისა-კენ. კმაყოფილი, ბედნიერი. ათჯერ თუ თორმეტჯერ იყო ის გატაცებული ამგვარი სასიყვარულო ამბებით და ყოველთვის გამარჯვებით დაუგვირგვინებია საქმე.

მაგრამ, როდესაც მაგდასა, ჯანიკოსა და ლენას შორის სიყვარულის ამბები გაიხლართა, აქ ნინო ისეთ ამოცანის წინაშე მოექცა, რომ პირველად იგრძნო დამარცხების საფრთხე.

ჯერ მაგდამ მოიგდო ხელში ნინო და დაავალა:

— ნინო, ჩემო ნინო, ჩემო, ჩემო, ჩემო კარგო ნი-ნო. შენებურად მარჯვეთ გამიგე ერთი, კი არაფერი აგრძნობიო ჯანიკოს, გამიგე ერთი რას ფიქრობს ჩემ-ზე. ლენას არაფერი გააგებინო.

ვერ მოასწრო ნინომ სამოქმედო გეგმის შემუშავე-ბა რომ ახლა ლენამ დაიჭირა. გულში ჩაიკრა და სხა-პა-სხუბით ჩასჩურჩულა თავისი ათწილობრივი ტუ-ჩებით:

— ნინო, გენაცვალე. გენაცვალე. გენაცვალე. ვკ-ვდები, არ გეცოდები? არ გეცოდები? იცი რა? ჰკითხე ერთი? ისე, ვითომ სხვათაშორის, შენ ხომ იცი რო-გორც... მაგდას არაფერი უთხრა...

მაგდამაც და ლენამაც კარგად იცოდნენ ნინოს ოსტატობა და ორივენი ისე დამწვიდნენ, რომ ერთ-მანეთს აღარც კი დარაჯობდნენ. აღარ ჰქონდათ ჯა-ნიკოსთან ცალკავე შეხვედრის შიში, თუმცა ნინო-სადმი დავალების მიცემის შემდეგ მთელი ორი კვირის განმავლობაში მათ ვერც ჯანიკო და ვერც ნინო თვა-ლითაც ვერ ნახეს. გაგებით კი გაიგეს, რომ ჯანიკო დილიდან საღამომდე განუწყვეტლად ლექციებს კითხუ-ლობდა ინსტიტუტში და ნინოც რამდენჯერმე შეხვდა მას.

ერთ საღამოს როდესაც ორივენი ოპერაში, თამ-ბაქოს მოსაწევ ფორეში კედელზე მიყრდნობილი პაპი-როსებს ეწეოდნენ და მერცხლებივით ქუჩურტულე-ბდნენ, არეულ ხალხში დაინახეს ნინო, რომელიც თავისი ელაში თვალთ ვილაკას დაეძებდა.

— ნინო,—თითქმის ერთად წამოიძახეს ორივემ და ისე სწრაფად გაჰქანდნენ მისკენ, რომ მათმა კაბებმა სულ ფრიალი დაიწყეს.

— ნინო გენაცვალე,—ალტაცებით ეცენ ორივენი და რიგრიგობით ჩაჰკოცნეს თავიანთი გულის მესაი-დუმლე.

ნინომ გაიღიმა:

— ოჰ! როგორ მინდოდა თქვენი ნახვა ორივესი— სიტყვა ნინომ—წამოდით საყარძელში დავსხდეთ.

თუმცა მაგდასაც და ლენასაც ერთმანეთის ფარუ-

ლად ჰქონდათ ნინოსადმი დავალება მიცემული, მაგ რა ამ მოულოდნელმა შეხვედრამ და ლოდინმა სრულიად დაავიწყათ ორივეს თავიანთი დავალების საიდუმლოება და მოუთმენელი აჩქარებით გაიქცნენ საყარძლისაკენ. ნინო შუაში ჩაისვენს და ანთებული თვალებით შეა-ქვრდნენ.

— ნახე?

— ხომ შეხვდით?

— როგორ არა, მე თითქმის ყოველდღე ვხვდე-ბოდი მას—უბასუხა ორივეს ნინომ და თავისი ელა-მი თვალთ კიდევ შეათვალა ფორეში არეული ხალ-ხი—თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა უცნაური ხალხია ეს ფილოსოფოსები და რა ძნელია მათთან ლაპარაკი. ის ხომ ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის ლექციებს კით-ხულობს. მე სულ მეშინოდა მასთან სიყვარულის შესა-ხებ მელაპარაკა, რადგან არასოდეს არ შემეგდრია მეცნიერებთან ასეთ თემანზე საუბარი, იმათ ხომ ყველა-ფერი ბანალურად მიაჩნიათ. ძალაუფლებურად სულ მის მეცნიერულ დისციპლინებზე მიხდებოდა ლაპარაკი და იძულებული ვიყავი, მისგან მთელი ლექციები მომე-მინა ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის შესახებ.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ როგორ უყვართ მანაკა-ცებს, როდესაც ქალები მათი პროფესიით დაინტერეს-დებიან. ო, ეს შესანიშნავი გაკვეთილი იყო ჩემთვის. იოტის ოდენი არ მესმოდა იმისი დოღმატიული ფი-ლოსოფიის, რეფლექსების და სუბსტანციებისა, მაგრამ არა მგონია, რომ ოდესმე მას ჩემისთანა მსმენელი ჰყოლოდეს და აი ერთხელ მე ვკითხე:

— როგორი ქალი შეგიყვარდებოთ თქვენ?

გოგებო, მე თქვენი დავალება მუდამ მახსოვდა, მე თქვენ ხომ იცით ჩემ თავს მიჩვევინხართ. მოიტა გაკოცო შენ მაგდა, შენც ლენა. მე მინდოდა გამეგო, რომელი უფრო გამართლებდით მის სურვილებს. ვკით-ხე: როგორი ქალი შეგიყვარდებოთ თქვენ. იცით რა მიპასუხა? „ისეთი ქალი, რომელსაც მე ყველაზე უფრო ვუყვარვარ“.

მაგდაც და ლენაც ორივე კანკალმა აიტანა. მოახ-ლოვდა ის გადამწყვეტი წუთი, რომელსაც ასეთი მო-უთმენლობით მოელოდნენ ორივენი.


— ოჰ! რა წარმოუდგენელ გაჭირვებაში ჩავვარდი. მე თქვენ ორივენი, ჩემს თავზე უფრო მიყვარხართ და როგორ წარმოვიდგენდი, რომ მისი არჩევანი ჩემს მიერ გადასაწყვეტი იქნებოდა. მაშინ მე სრულიად ზუმრო-ბით ფუთხარი, რომ ყველაზე უფრო მე მიყვარხართ მე თქვით!

თქვენ შეიძლება ისე არ გავცდეთ ახლა, როდესაც მე მაშინ გამოაცა მისმა პასუხმა. მან მითხრა:

— მე კი თქვენ ყველა ქალებზე უფრო მიყვარ-ხართო.

• გოგებო, მაშინ მე მთელი ღამე ხან ვტიროდი და ხან ვიცინოდი. გუშინ კი ჩვენ დავექორწილდით.

ა. გელიაშვილი.



§) პარისი. მითოლ. ტროადის მეფის პრიამოსისა და ჰეკუბას შვილი, რომელმაც გადასტრა დავა სილა-მაზის შესახებ ჰერასა, ათინა-პალადასა და აფროდი-ტას შორის. უკანასკნელს მიაართვა თქვრის ვაშლი წარ-წერით „ულამაზესს“.

„სარგველა ბალახების კამა დიხსაც შეიძლება და ამ ბალახების კამა თამამად შეუძლიათ იაპონელებს...“

(იაპონელი პროფესორი ტეტსუძირო იხარა)

„ცდების შედეგები გვარწმუნებს, რომ ბალახში ბევრია პროტეინი, ვიტამინი, ქლოროფილი და მარილები და ამ ბალახების კამა შეუძლიათ როგორც ადამიანებს, ისე პირუტყვსაც...“

(იაპონიის ვეტერინარიის ინსტიტუტის განცხადება)

ნახ. დონის



იაპონური მოზმარი: ჩვენც გვართმევ ლუკმას?—მაშ გიჩვენებთ სეირს.

აგანათი და მოცხვი გამომგონებელი

(ნამდვილი ამბავი)

ეს ამბავი მზიან აფხაზეთში მოხდა და გადაწყვეტიტე გამოვამზეურო.

აღლევბულმა მოქალაქემ შუა ქუჩაში შემაჩერა. ხელებს ქორის ფრთებით იქნეგლა და ისეთ კილოზე მეკითხებოდა; თითქოს კარგა ხნის წინად დაწყებულ საუბარს განაგრძობდა:

—კი მარა შეიძლება ასე?! წარმოგიდგენია კაცო აგი?

მას რაღაცა უკვირდა, მე კი—მისი კილო და გაკვირება.

—რა არ შეიძლება?

—კი მარა გინახავს ასეთი ამბავი?

ძლივს მოვახერხებ მოქალაქის დამშვიდება, და მან დაიწყო:

—ამანათი მოსულა ჩემ სახელზე 4 იანვარს. 9 იანვრამდე არაფერი მაცნობეს, როცა მე თითონ შევედი ფოსტაში, მაშინ გამომიცხადეს და ბოდიში რომ მოეხადებოდა იმის მაგიერ მანეთით დამაჯარიმეს, ისე არ მაძლევდნენ ამანათს.

—მერე მანეთზე ღელავ ასე?

—აჰა!!! პრინციპზე.

მე ამ ამბავმა დამინტერესა, ფოსტაში შევედი და სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე გამომგონებელი, რომელიც მორცხვობს და მუდამ ჩრდილში იჭნებოდა, რომ ეს შემთხვევა არ ყოფილიყო.

გერანის კულტურის საბჭოთა მეურნეობა „მესამე ინტერნაციონალში“ ფოსტა, გამგედ მუშაობს მოქალაქე მარია კუზმინა, გამორჩევა, რომ ჯარიმა კი არ გადაუხდევინებია, ამანათის პატრონისათვის, არამედ ამანათის შესანახი.

ჩემ შეკითხვაზე თუ რატომ არ აცნობეს მოქალაქეს ამანათის მოსვლაზე უწყებით, როგორც წესია, ფოსტის გამგემ მიპასუხა, ეს დამტარებლის საქმეაო.

პირველი შეხედვით რა უბრალო გამომგონებაა, მაგრამ დაკვირვების შემდეგ რა გენიალური! ეს გამომგონება რომ ფართოდ გავრცელდეს წარმოგიდგენიათ რა სარგებლობას მოიტანს. მოვა ფოსტაში ამანათი, ეგდოს კუთხეში თავისთვის, არ ყვირის, არ ჩხუბობს, ქერს არ თხოულობს და თევას, ნავთსა და ბენზინს. უწყების დამტარებელს ფეხსაცმელი არ უცვდება სიარულში და როცა პატრონი ამანათს მოიკითხავს „შესანახი“ ფული როგორც იტყვიან „გვერდზე გლია“.

ვთქვათ, ეამთა ვითარებაში ამანათი გაფუჭდა, ხომ შეიძლება ამანათს გადაახდევინო რაიმე ამანათის პატრონს? ვთქვათ ვირთხამ გამოხრა, ხომ არ დაუწყებს ფოსტის გამგე ვირთხებს დევნას? ან რა პასუხი უნდა მოსთხოვოს კაცმა ვირთხებს და თა-

გვეს? როცა მოქალაქე მოვა, ამანათს მოიკითხავს, შეიძლება რაიმე გადაახდევინო.

უნდა თუ არა ყველა ამას მოეფიქრება? რატომ მაინცდამაინც უნდა მიჰყვეს ფოსტის გამგე ვატკეპნილ გზას და შეატყობინოს მოქალაქეს ამანათი მოვიდა და წაიღეო? რა დიდი საქმეა ამანათის შენახვა? „ამანათს მგელიც შეინახავსო“ ნათქვამია.

რამდენად მორცხვი და კეთილშობილია გამომგონებელი იქიდან სჩანს, რომ დამტარებელსაც არ ივიწყებს და ამბობს, რომ ისიც მონაწილეა გამომგონების. სხვა გამომგონებაც აქვს აღნიშნულ ამხანაგს, მეხუთე თევა ფოსტის სასწორი არ მუშაობს, გაფუჭდა, და ფოსტის გამგე შეკეთებაზე არ ზრუნავს. გამოდის რომ საბჭოთა მეურნეობიდან ამანათის გაგზავნა არ შეიძლება, ე. ი. ფოსტის გამგეს ნაკლები შრომა უწევს, იუმჯობესებს ცხოვრების პირობებს და მთავრობას ამ საკითხში არ აწუხებს, თითონვე უქმნის თავის თავს „ბედნიერ“ და „მხიარულ“ ცხოვრებას.

გაგრის რაიონის ფოსტის გამგეს მართებს მეტი ყურადღებით მოექცეს—გამომგონებლობას.

რა ვუყოთ რომ გამომგონებელი მორცხვია და თითონ ხმას არ იღებს.

შეხვედრა

მესამე გაკვეთილის შემდეგ სკოლაში დიდი დასვენება იყო. გაზაფხულის ნაზი ნიავი ჰქროდა. სკოლის ეზოში მოწაფეები ჯგუფებად დაყოფილიყვნენ და ფეხბურთს თამაშობდნენ.

გავიდა დასვენების დროც.

სკოლის მუშაკმა ზარი აივანზე გამოიტანა და რეკვა დაიწყო. თამაშით ვართული მოწაფეები ყურს არ იბერტყავდნენ. სკოლის მუშაკი ზარს არ ასვენებდა და გულის შემზარავად არაწყუნებდა.

—თავი დაანებე რეკვას, თორემ ზარი გასკდება!—შესძახა ახლო მდგომმა მოქალაქემ.

—გასკდეს, სულ ერთია, თუ არ გასკდა, ისე ვერ ვავიწყებ. ხომ უყურებ,—ყურს არ იბერტყავენ და ადგილიდან არ იძვრებიან.

—არც დაიძვრებიან, სანამ ზარის ნაცვლად ბურთი არ გასკდება! —უიმედოდ ჩაულაპარაკა დამსწრე მოქალაქემ.

ხელოვნების მოყვარული

—მე მახსოვს. სარაჯიშვილი, მე მისი ხმა ერთხელ კიდევ მოვისმინე.

—თბილისის ოპერაში?

—არა! ვაგზლის მოედანზე. მაშინ თბილისში ტაქსო-მოტორები არ იყო, ავტოს იშვიათად ნახავდით მის ნაცვლად ეტლებით და ტრამვით მოგზაურობდნენ.

—მგზავრობა არ მაინტერესებს. თქვენ ოპერის და ვანო საარაჯიშვილის შესახებ მიახებთ.

—თბერა აქ არაფერი უთაშია, სარაჯიშვილის შესახებ მოგახსენებთ.

—აქი სთქვი, რომ სარაჯიშვილის ხმა მოვისმინეო?

—ღიპ მოვისმინე.

—ჰო და, მეც გეკითხები! ოპერაში?

—არა, სხვა ადგილას, ერთხელ სადგურის მოედანზე შევხვდი, საიდანაც მატარებლით ჩამოსულიყო, გამოვიდა სადგურის მოედანზე, ეტლთან მივიდა და დაიძახა „მეეტლევ, ყაზბეგის ქუჩის საკენი!“

კონტრასტი

კაფე-რესტორანში საქმე ცუდად მიდიოდა.

—ვისი საქმე?—მომხმარებლების თუ კაფეს მუშაკების? — იკითხავს მკითხველი.

იმ მომენტში, რომელსაც ეს ამბავი გამოხატავს ცხადია, მომხმარებლების.

უფარვისი საკვები, გაბერილი ფასები, ტრესტის ქონების მითვისება, ყალბი ანგარიშები და სხვა მსგავსი საქმიანობა ახასიათებდათ კაფეს მომუშავეებს.

—პირდაპირ თბიგულია! შაინც როგორ მოგროვდნენ ასე ერთმანეთთან შეწყობილნი და ერთიმეორეზე „უფაქიზესი“ მუშაკები?

—უმეტესობა ალბად ძველი მიკიტნებია.

—ეს ქალი ყოფილი მაჭანკალი უნდა იყოს.

—შენ გამგე იკითხე, ის უნდა იყოს ყველაზე უფრო საეჭვო პიროვნება.

ამბობდნენ მომხმარებლები, ერთმა მათგანმა კი კაფეს თანამშრომელს პირდაპირ უთხრა:

—თქვენი გამგე საეჭვო კაცია, მას ბნელი წარსულიც უნდა ჰქონდეს!


—რას ამბობთ! როგორ გეკადრებათ! ბნელი კი არა, ნათელი ჰქონდა: მათ ბრწყინვალეობას უძახოდნენ. აფსუს რა ტიტული დაჰკარგა?!

წარმართებუდი

ნახ. გ. თოიძისა.



—წარმოიდგინე, ისეთი წარმართება მქონდა საღამოზე, რომ ლექსი ექვსჯერ გამამეორებინეს.
—ჩვეულებრივი ამბავი მომხდარა: შენს ლექსებს მე ათჯერ წაკითხვითაც ვერ ვიგებ ხოლმე.



„ასკლერსტის“ ერთი რაიონული შენილა და მისი პროექტები

ვაქვევებთ რამოდენიმე დოკუმენტალურ სურათს „ასკლერსტის“ საქმიან ცხოვრებაში. აინიშნულ ტრესტს არა აქვს მანიალმაჲც დიდი ზნის ისტორია: იგი ახალგაზრდა, თითქმის ნორჩიც, შვიდი წლის წინ იდღესასწაულა თავისი დაბადების პირველ დღე.

ვაქვევებთ რა ამ სურათებს, „ასკლო ტრესტის“ მმართველს — ამხ. ჩიხურდანიძეს ვიხილოთ. ნუ მოიღებს განსაკუთრებულ ზომებს მიი „შემრცხვენილი“ კორესპონდენტის საბუნებლად, თავის თანამშრომლებზე ნუ მოიტანს ეჭვს — ამ საქმეში „დამანაშავე“ მხოლოდ —

ნიანგი.



შენარა კაცი შენარა საათითან

— აი, შეხვდის საათი, ისარი ყოველთვის თავის ადგილზეა — არც სამსახურში დაგაკვირანებს და არც რაიმე სასაუველდრო საქმეს შეგაძიხვევს.

„ასკლერსტის“ რამე-რამე

ნახატები გ. ისაევსა.



„ბაჭითი“


— ბლუენაძისთანა თანამშრომელი ერთი არა გვეყავს: მათლი წლის განმავლობაში არცერთი წუთით არ დაუგვიანია და არცერთი წუთით აღერ არ წასულა სამსახურთან.




გლიკვენელის ჩამკლიკა

— მმართველი მომბრანდება, ფეხზე აბრანდება, ამხანაგებო!

თავდაშლუშვიპის შიკარაბი — გეგმას თუ ვერ ვასრულებ, ტრესტის მმართველის მიმართ დღეში თერამეტი დეკემბრისა და წერილის გააზრვანაც ხომ საქმეა.




„ასკლერსტის“ ერთი გენანტის ისტორია: რომლის მშენებლობა 1933 წელს დაიწყო, პირველი საბითული 1938 წელს დათვრდა, ხოლო შესაბუ საბითულს წელს მიადწია.



„ასკლერსტის“ შიბიბის და ხაწარმორ ბიბიბის შიხრუშვიპის კარკორკითულად ჯადის ლიბაბაბა





— საქმე იმაშია, ურუველგავარი დროისა და სინწლის მიუხედავად, საქმე მიანდა ნუ მოგვარდებს.



ორი პიურსოკაბი...



— საქმე იმაშია, რომ თქვენი ათი წუთით აღერ მომბრანდით ამ საქითის მოსაგვარებლად...





1. გაუცხოვრება

მე დამიგროვდა იმდენი თემა
ყოველდღიური და სანიანგო,
რომ აღარ ვიცი ვით ჩამოვთვალო,
მათ ასახვისთვის რა ხერხს მივაგნო.

ამბები ჩქარა ვითარდებიან
და მე რომ ფაქტებს არ გავყვე კულში,
რომ არ გამომჩინეს საკბილო თემა
ასეთი ზრახვა „გავივლუ გულში“.

(ზრახვა მომენტთან შეფარდებული
და თან „უმანკო“, ვით ქორთა კრავი)
მოდი, დავაწყებ დღიურის წერას
რომ იქ აღვსუსხო კბილგასაკრავი.

ჩემს დღიურებში ავსახავ ჩემებრ,
რაც ხდება მრუდი ჩვენში თუ გარედ,

ბოდიშს არ ვიხდი, თუ კუდის რიკში
ვინმეს ჩანგალი ამოვცხო მწარედ.

2. ხანაჟის გმირები

ჰაერში ტრუსის სუნი ვრცელდება
და ქუფრი ბოლი მიდამოს ჰბურავს,
საკვამლე შილში გამოჩნდა ალი,
ცეცხლი მოედვა სახლის სახურავს.

— არიქა, ცეცხლი!

— ვაწვით!

— გვიშველეთ!

ზარდაცემულნი ფეხზე დგებიან
და მუხანძრეთა დასაძახებლად
ავტომატისკენ ეშურებიან.

მოვიდა რაზმი რიხით, ქუხილით,
რომ მოიხადოს გმირულად ვალი,

მომართა შლანგი, უმიზნებს ხანძარს,
მაგრამ... შავ წვეთიც არ მოდის წყალი.

და როცა ცამდი ავარდა ალი,
მთელი უბანი ცეცხლით თბებოდა,
ძლივს მოაგონდათ მუხანძრეებს, რომ...
წყლის წამოღება დავიწყებოდათ.

დაუწყეს ძებნა სახანძრე ონკანს,
ქუჩებს, ეზოებს მტვერი აღინეს,
და როგორც იქნა, საათის შემდეგ,
აბანოს მილთან აღმოაჩინეს.

კვლავ გაბედულად მიმართეს შლანგი,
სიერცეს სად ოდეს სახლი მდგარიყო,
მაგრამ ცეცხლს უკვე შთაენთქა მსხვერპლი
და როგორც წესი... თვით ჩამქრალიყო.

მელუჯა

გულჩვილი დიკაქოზი

სოხუმის საკონსერვო ქარხნის დირექტორს ამხ. თორიას ერთ
დღით მოახსენეს, რომ—სამუშაოზე არ გამოცხადებულა მუშა
შ. მ.

დირექტორმა ხელში კალამი მოიმარჯვა და კედლის საათს შე-
ხედა.

საათის ისრები ისეთ დროს უჩვენებდნენ, რომ დამგვიანებე-
ლი სამუშაოდან უნდა მოხსნილიყო. ამიტომაც დაწერა ბრძანება
სამუშაოდან მისი მოხსნის შესახებ.

საქმემ მშვიდდებიანად ჩაიარა. პროტესტი არავის გაუცხადე-
ბია; არც არავინ გამოჩენილა.

— კანონიერი იყო მისი მოხსნა და ამიტომაც ვერ გაბედა
მოსვლა და გაპროტესტება!—ფიქრობდა დირექტორი და ერთგვარ
სიამოვნებასა და კმაყოფილებას გრძნობდა, რომ იგი ერთგულად
იცავდა სათანადო დადგენილებას შრომის დისციპლინის განმტკი-
ცების შესახებ.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და გაიგეს, რომ „გამცდენი“
შ. მ. სამუშაოზე არ გამოცხადდა... გარდაცვალების გამო.

აქ კი მოლბა დირექტორი—ლომგულა გაკრავგულიანდა.

მისტიკურმა ფიქრებმა შეიპყრეს იგი, ხუცების ზღაპრებმა
საიქიოს არსებობის შესახებ, რომლებიც მას პატარაობისას მოუს-
მენია ბებისაგან და გაუგონია სხვა მორწმუნეებისაგან, ხორცი
შეისხეს მის წარმოდგენაში:

თუ გვიდა საიქიოში მის მიერ მოხსნილი გარდაცვალებული,
„გამცდენი“, შევიდა მისაღებ ოთახში, რომელსაც ორი კარი აქვს:
ერთი—სამოთხეში შესასვლელი, მეორე—ჯოჯოხეთში შესასვლელი.

მაგრამ ჰოი საკვირველებავ, სად იყო სად არა, თვით თორიაც
გაჩნდა იქ.

— აი, ეს კაცი შენ ბრალსა გდებს,—უთხრა შ. მ.-ს. ქერუბიმ-
მა და თორიასაკენ მიუთითა.

— რათა, რა დამიშავებია?—გაკვირვებით ჰკითხა შ. მ.-მ—თო-
რიას.

— ის, რომ სამუშაო გააცდინე—საპატიო მიზეზის გარეშე.

— ტყუილია... სამუშაოზე თოგორ გამოცხადდებოდი, როცა
გარდავიცვალე? ნუ თუ ეს საპატიო მიზეზი არ არის? პირიქით
საყვედური თქვენ გეკუთვნით, რომ ქარხანაში არავინ დაინტერე-
სებულა გაეგო — თუ ქარხნის კოლექტივის წევრს რა მომივიდა,
რა შემემთხვა, რომ სამუშაოზე არ გამოცხადდი. ჩემი გარდაცვა-
ლების შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და თქვენ ახლაც არ იცით
ჩემი გარდაცვალების შესახებ...

დირექტორი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. გული დას-
წყდა, გაიფიქრა—იქ რა მინდა, მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარო?

— უხერხული ბრძანების ისე დატოვება!—დაარღვია დირექ-
ტორის ცრუმორწმუნეობრივი ფიქრები საქმეთამართველის შე-
კითხვამ. ამან თორია უცბად სად აზროვნებაზე მოიყვანა, მან კა-
ბინეტს თვალი მოავლო. დარწმუნდა, რომ მართლა ცოცხალია და
საიქიოში კი არა, თავის სავარძელში ზის.

— მომიტანეთ ძველი ბრძანება!—გაცა მან განკარგულება.

როცა მან წაიკითხა მის მიერვე დაწერილი სასტიკი ბრძანება
მიცვალებულის მოხსნის შესახებ, უფრო მეტი სიბრალული იგრ-
ძნო (ამბობენ—ცრემლიც მოადგა თვალზეო) და ძველი ბრძანება
შესცვალა გულამაჩუყებელი ტექსტით:

„...განთავისუფლებული იქნას სამუშაოდან—გარდაცვალების
გამო“. და როდესაც ბრძანებაზე თავისი ხელმოწერის უკანასკნე-
ლი ხაზმოსმა დაამთავრა, მან ისეთივე სიამოვნება და კმაყოფილება
იგრძნო, როგორც მაშინ, როცა დაწერა ბრძანება მოხსნის შესა-
ხებ. მაშინ იგრძნო იმიტომ, რომ იცავდა სათანადო დადგენილე-
ბას შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ. ახლა იგრძნო
იმიტომ, რომ გრძნობდა თუ როგორ იჩენდა ადამიანზე ზრუნვას.
კეთილშობილებას და... ამასთანავე ფხიზლად იცავდა დისციპლი-
ნას...


და მისტიკურმა, ცრურწმენულმა ფიქრმა ერთხელ კიდევ გა-
უელვა:

— ჩემის მხრით სამოთხეში მის მიღებას აწ არავითარი დაბრ-
კოლება აღარ გადაელობება!

ისელი

შ ე ე შ ა ლ ა

სოფ. ჩოღატაის (ქვ. სვანეთი) სასაღილოს გამგე ვასილ ჯუშბერიძემ სახელი გაითქვა მოზარდ პირუტყვის დაკვლაში



— რამ შეგაშინა, მგელი მოდის სხვა ზომ არაფერია!
— ეშმაკმა დასწყევლოს, მე ხასაღილოს გამგე ვასილ ჯუშბერიძე ვ შეგონა

პრაპტიკოსის ვიპრები

დიღნუბის (ხუგდ. რაიონი) სკოლის მალაზიის გამგე ბ. ჩანგლიამ კოლმეურნეებისათვის მიღებული სიმინდი კერძო პირებს მიყიდა ხუთმაგ ფასებში.



ბ. ჩანგლია:— ვითომ ჰკუა აქვთ ამით სიმინდს რომ სთესვენ? ვანა და უთესვად არ შეიძლება ერთი ხუთად მოიმიკო?!

იცის ვის როგორ მოეპყრას

(ახალსოფლის ლანჩხუთის რ.) დაწყებითი სკოლის მანდარინის პლანტაციას პირუტყვი ანადგურებს.



— ცუდათ მეპყრობა ჩვენი სკოლის გამგე.
— ცუდათ როგორ?
— მე ერთი მანდარინი მოვგლიჯე—სუხტი დამიწერა, ძროხები კი ძირიანად გლეჯენ მანდარინის ხეს და არაფერს ეუბნება.

კახეთის (ხუგდის რ.) საშუალო სკოლის თაფლიცხვილია ქიმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი დ. ნარმაია წრის წევრებს უმაღლეს ვახნებს და ამ ვახნებით ჩიტებზე ნადირობს



ყვავი:— უწყინარი მონადირეა, მეხამე წელიწადია დაგვდევს და ჯერ ერთი მხხვერპლის მოშმევ ვერ გავხდით.

საუკეთესო გამოსავალი


სოფელ ლელიანის (ლაგოდების რაიონი) ფერმაში ცხვარი მოუფლელობით იხოცება.




ფერმის გამგე:— თუ ძმა ხარ ყელი არ გამოშვრა და ჯერ არ მოკვდი. ბატკნები დაბადე და შემდეგ ხამში ერთის სიკვდილი—მოხათენია.

გაი თუ გზაში დაუღამდა...


მერიის (მახარაძის რაიონი) საშუალო სკოლაში ბუფეტი ვერ მოაწყვეს. მასწავლებლებს, რომელთაგან 9 არა ადგილობრივი მცხოვრებია სადილისათვის სკოლიდან მჭვსი კილომეტრის დაშორებით უხდებათ სიარული.




— ნუ აღელდებით ბავშვებო, გეოგრაფიის გაკვეთილი დღეს არ გექნებათ, რადგან მასწავლებელი ხალში წავიდა პურის ხაჭმელათ, ისადილა, ვიდრე სკოლაში მოაღწევდა ისევ მოშივდა და ისევ ხალში გიხლათ პურის ხაჭმელად



„ემ-1“ მარკის ავტომანქანა.



„ტ-3“ მარკის მანქან-ტრაქტორი



„მანქანა“, რომელსაც ხშირად მარკა არა აქვს.

ღამე იყო უკუნეთი,
ფრთა გაშლილი ჰქროდა ქარი
და ქუფრ ცაზე თოვლის ფიფქებს
მოარხევდა ფრთა მედგარი.

ქარი ჰქროდა ისე ცივი,
სუსხიანი, კუშტი, ავი,
რომ ყინვისგან პალტოშიც კი
გკანკალობდი როგორც კრავი.

მოვდიოდი შინისაკენ,
შევუხვებ ბნელ უბანში
და შიშისგან კრუნტელმა
გამიარა უცებ ტანში.

ჩემს წინ გაჩნდა შავი ლანდი,
თვალზე ბინდი დამეფარა
და ჩამესმა ყურში ზარად:
„მოქალაქე! პალტო ჩქარა!

და ბებუთი, როს ჩემს ცხვირ წინ
აღიმართა მზაკვრულ ხელით,
გაქპრა ყინვა და ჩემს ტანში
ივლისის მზე ჩადგა ცხელი.

მომეჩვენა სუსხის ნაცვლად
თითქო ზეცა თბილ ნამს წვიმდა...
გაქპრა პალტო, ტანსაცმელი,
ფეხსაცმელი, ქუდი, წინდა.

არ ვემდური! სულგრძელობა
მოიხმარა ბოლოს მანა
და პერანგის მეგობარი
მეგობრულად გამატანა.

სიკიბო

პირველბა ქელაში

შელამდა თუ არა, პოლიტგანმუშაკთა კავშირის ქედის ორგანიზაციის საანგარიშო კრება დაიწყო.

საანგარიშო მოხსენება... არგაკეთებულ მუშაობაზე გააკეთა ადგილკომის გულკეთილმა თავმჯდომარემ თინა დოჭვირმა. მომხსენებელს საანგარიშო კრებაზე გააცნეს საკუთარი კავშირის ექვსი წევრი, გაუცნობელი დარჩა ათი.

საანგარიშო მოხსენებას გაცხარებული კამათი მოჰყვა. კამათში გამოვიდა 1 1/4 კაცი.

— თუმცა ადგილკომს არაფერი გაუკეთებია, მაგრამ არც რაიმე დაუშავებია, — განაცხადა კრიტიკით გამოსულმა მიშა უწყეინაშვილმა, — ამიტომ მისი მუშაობა მაინც დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ, ჩვენია, რაც არ უნდა იყოს!

ამ წინადადებას სხვებიც მიემხრენ, რამაც განცვიფრებაში მოიყვანა თვით ადგილკომის თავმჯდომარე. იგი კინაღამ სახტად დარჩა.

დაიწყო კენჭისყრა. ხუთმა კაცმა შემოიტანა ხმის მისაცემი ყუთი. მისი სიმაღლე ორნახევარ მეტრს უდრიდა. ყუთში ბიულეტენის ჩაგდებისას ერთიმეორეზე შედგმულ სკამებიდან გადმოვარდა ლიუბა აბელიძე, რომელმაც მარცხენა ფეხი იღრძო. დაზარალებული მოთავსებული იქნა რაისაავადმყოფოში.

ფარული (დახურული) კენჭისყრა მიმდინარეობდა ურთიერთ-რჩევა-დარიგებებით, კონსულტაციით და კანდიდატებზე შეხედულებათა გაზიარებით. „ვიქტორი წავშალოთ? აჰ, არ წავშალო! კაკო დატოვე! ვანო ამოშალო!“ — ამას გაარჩევდით ჩურჩულში ფარული კენჭის ყრის მომენტში.

იყივლეს მამლებმა და კრებაც დაიშალა.

გ. ჯუსეინაშვილი

ცნობისმოყვარე მკითხველი ამ სიახურიდანვე გამოიტანს დასკვნას:

— აი, ხედავთ? საქმე, ნაღდად გამფლანგველს ეხება: წავიდოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მივლინებაში ვინმე გამფლანგველი და თავის მაგიერ კბილებით იმუშაებდა, ესე იგი იქეიფებდა და ბოლოს წამწარებდნენ, კბილებში ურტყამდნენო.

არაფერი ამის მსგავსი!

მართალია, მოქალაქე ბეშია ახალციხიდან ადიგენს წავიდა მივლინებაში, მაგრამ მას სწორედ თავით უხდებოდა მუშაობა, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ხე-ტყის დამზადებაზე კბილებს, საერთოდ არ ამუშავენ სოლმე. მაგრამ დახეთ ფათერაკს!—ბეშიას სწორედ კბილი ასტივდა და არა თავი. ადგა ეს ჩვენი ბეშია და ადიგენის კბილის ექიმს ეწვია.

— თქვენ კბილი გტკივთ?—ეგ არაფერი, მომენტის საქმეა, დააღეთ პირი.

ბეშიამ პირი დააღო—ქალმა დიდი გაზი მომართა.

აქ პატარა სცენა გაიშალა, რომელიც კოუ გახსოვთ „ბაბუა და თალგამი“—იმას მოგაგონებდათ: სწია და ქაჩა ამ კბილის ექიმმა, სწია და ქაჩა—ბოლოს ამოაძრო კიდევ თალგამით თეთრი და საღსალამათი კბილი.

ამის შემდეგ მან ბეშიას საფულესაც დააღებინა პირი, იქიდან „ჩატარებული“ ოპერაციის გასამრჯელო ამოიღო და ბეშიას უთხრა:

— წადი და, თუ ამის შემდეგ კიდევ ატკივდეს კბილი — ნუ დამივიწყებ... მაგრამ ბეშიამ მალღობის გადახდაც ვერ მოახერხა, რადგან თან საღი კბილის ამონაგლეჯი ნაკბლარი სტიკიოდა, თან შის გვერდით მდებარე მტკივანი კბილი.

— ახ, კიდევ გტკივთ?—რა უშავს, იოდი სამი დღის შემდეგ და კიდევ ამოგიღებ.

— შე კაი კაცო, ეს რა ტრიუკი გიქნია: საღი კბილი ამოგიღია, მტკივანი კი შინ წამოგიღიაო,—უთხრეს ბეშიას ახალციხის პოლიკლინიკაში. ეს მაშინ უთხრეს, როცა ადიგენში ამოღებული კბილის ადგილი საოპერაციოდ გაუხდა.

— მე არ ამომიღია, ექიმმა ამომიღოო,—მიუგო ბეშიამ.

— ექიმი ამისთანა ფინაჩობას როგორ ჩაიდენდაო?—ისევ მიუგეს ბეშიას.


აქ ამბავი მოულოდნელად სწყდება. იმიტომ კი არა, რომ ოთქოს ახალციხის რაიჯანგანყოფილება დაინტერესდა და საჭირო ზომები მიიღო, არა, ისე, თავისით სწყდება.

მაშ რაღას წამოიწყეთ ეს ამბავიო,—შეგვეკითხება მეორე ცნობისმოყვარე. წამოვიწყეთ, მოქალაქენო, იმიტომ, რომ დაზარალებულ ბეშიას მეუღლე ასეთ წერილობითი შეკითხვით მოგვმართავს:

„ჩემს ქმარს სამსახურის გამო მივლინებაში უხდება წასვლა ადიგენს. კბილის ატკივების შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს, თუ კბილის ექიმი ასე დაუდევრად მოეპყრობა?“

ჩვენის აზრით, ასე უნდა მოიქცეს:

სანამ ადიგენის „დანტისტკა“ ნაღბადობას თავს არ დაანებებს, იქ მივლინებაში წასვლის შემთხვევაში მოქ. ბეშიამ კბილები სახლში უნდა დასტოვოს.



— რა სტილზეა აგებული?

— ორი სტილი აურევიათ ერთმანეთში: „აშენებულისა“ და „დაშენებულის“.

თარსი



შუბი

— საოცარია, ესეც ხომ მუხლუნა სვლაზეა აგებული, მაგრამ ყოველგვარი რემონტის გარეშე მოძრაობს!

ამხანაგო ნიანგო!



ამხანაგო ნიანგო!

ამხანაგო ნიანგო!

კავშირგაბმულობის ზუგდიდის კანტონ-რასთან არსებობს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაცია, რომლის წევრები, როგორც ამბობენ, გაწვრთნილი არიან სროლაშიც.

მაგალითი მოგახსენოთ?

ამას წინათ უჯრედის წევრების გამოცდა ჩატარდა. გააკეთეს სპილოს ფიტული, რომელიც სიდიდით მამონტს უდრიდა (ერთი სიტყვით, კარგი ბელლისოდენა იყო). თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის წევრები ათი ნაბიჯიდან რიგ-რიგობით ესროდნენ და ასე შესაძლებლობიდან ბარე შვიდი ქულა შეაკროვეს.

ასეთ შედეგებს უჯრედის წევრებმა მიაღწიეს სისტემატურა, ყოველდღიური... უმოკმედობით, ძილითა და ხვრინებით.

უჯრედის წევრები ემზადებიან ახალი შეჯიბრებისათვის: მოეწყობა სროლა პიპობოტამის ფიტულზე სამი ნაბიჯის მანძილიდან.

ბიბი ალშიბაია

ავტო-მოლარე ციციანამ

ერთხელაც არ გამოცინა...

ციცინა გახლავთ ავტო-მოლარე ქ. გორში. იგი ავტოს ბილეთებს ჰყიდის გორისტალინირის ხაზზე. შეუძლებელია ციციანამ გაგიცინოთ: იგი პირქუშაა, როგორც არავინ.

„თუ ეს მანქანა არ მოგწონთ, ფეხით იარეთ. მანქანაში მტვერია? პირი მოკუმეო და აღარ ჩავივით პირში. გამოხდა ესეც დიდი კაცი!...“

ციცინას ეს კლასიკური ფრაზა ზუსტად, სტენოგრაფიული ტექნიკის უახლესი მიღწევის მიხედვით არის ჩაწერილი.

ამის შემდეგ თქვენ ჯდებით მრავალტონიან სატვირთო მანქანაში, რომელიც საესეა მტვერით, რკინის ნაჭრებით, ყუთებით, სხვადასხვა ბარგივით და ორმოცდაათი მგზავრით (ოცდ-ოცდაათის ნაცვლად). გზაში, მოფერის ნებასურვილით, გემატებათ ათი-

ოდე კაცი და სტალინირში ჩაქურდათ გეგუ... დებ-დალეწილი, მტვერში გამოქურდათ ნის ნაჭრებისაგან ფეხებ დამტვერული და გონებობარეული.

დარწმუნებულ ვართ, ძვირფასო ნიანგო, რომ ასეთ მგზავრობას თქვენც ფეხით გასეირნებას ამჯობინებთ.

აბრამ პაპისმელოვი

ამხანაგო ნიანგო!

უნდა გაცნობოთ ერთი სამწუხარო ამბავი: ქედის სალაპარაკო სადგურის მორიგე ზინამ, სისტემატური ყვირილისა და ნერვიულობის ნიდანაგზე, ყურთასმენა დაჰკარგა. შივადამიგ ყურს დააკლდა მთელ რიგ სხვა ტუღეფონისტებსაც.

ამის გამო ქედელები კავშირგაბმულობის ნაცვლად, ფეხ, ცხენ ან ველოგაბმულობას იყენებენ ურთიერთკავშირისათვის.

ბ. ქედელაური

ჩვენნი უოსვა

„კალცემის“ (ს. ორპირი) თქვენს სკოლაში „გრიბი“ გაჩენილა, რის გამო თქვენ გვატყობინებთ:

ჩვენს სკოლაში გავაკურნად ორი ამხანაგი მერგო, ჩემი ხელით გავამზადე გრიბის საწინააღმდეგო.

კარგი გიქნიათ, მაფგან მადლობის ღირსი ხართ. ჩვენ კი რას გვერჩით? თქვენი ლექსი ჩვენთვის გრიბზე უარესი აღმოჩნდა და ჩვენც მას გაუმზადეთ ჩვენი გოდორი.

— „ბ—დ—ია“—ს (ს. ნაჯახოვი)

თქვენი ლექსი „კარგი პოვარი“ ასე იწყება:

ნაგებერაოში გვიდგას სასადილო „ქებული“, პოვარი ყავთ გამოცდილი, თავი მოძულეებული. სამი კაცი შევედით და მოვითხოვეთ ხარჩო, იღბალზე გადავრჩით,— კინაღამ დაგვახრჩო.“

მართლა „კარგი პოვარი“ გყოლიათ, ასეთ ლექსს სწორედ ისეთი ხარჩო ეკადრება.

გოდოს (აქვე) უეჭველია, მოლა მასრადინის შვილი, ან შვილი-შვილი იქნებით, თორემ ისეთი „ჰკვიანი“ კაცი, როგორც თქვენ ყოფილხართ, იშვიათად მოიძებნება. თქვენ მეზობელი ქალი გყოლიათ, რომლისაგან

დამით ძილი არა მაქვს და დღით მოსვენებაო.

იმ ქალისგან თქვენი შეწუხების მიზეზად ასახელებთ:

მეზობელი ქალიო ლამაზია ტანადო, ვაი ჩემი ბრალიო, არვინ უნდა ქმარადო..

და ყოველდღე იმ ქალთან თურმე დადიოდნენ „სტუმრები“. თქვენ კი არ იცოდით როგორ მოქცეულიყავით, რომ დამით ძილი გქონებოდათ და დღით მოსვენება. ერთ მშვენიერ დღეს ამდგარხართ და ქალს დაქადნებიხართ—ან მე და ან შენო. ქალს უბასუხია თქვენთვის: მეც ვიყო და შენც იყავიო.

ამის შემდეგ თქვენ დამით ძილი მოგსვლიათ და დღით მოსვენება. სამაგიეროდ სხვა მეზობლები თქვენს წინანდელ მდგომარეობაში ჩავარდნილან.

კა—სი—მის (პილენკოვო, გაგარის რაიონი).

მივიღეთ თქვენი ლექსი, რომელიც მიმართულია, ადგილობრივი რუხული სკოლის ზოგიერთი მოწაფეების წინააღმდეგ, რომლებიც ადგილობრივ კლუბში ხულიგნობას ეწევიან თურმე.

ნიანგოჯან, აქ, ჩვენს კლუბში ხშირად არის წარმოდგენა, დარბაზი ხალხს ველარ იტევს, ხალხი მოდის იმოდენა, მაგრამ იცით აქ რას ნახავთ, როცა შეხვალთ თქვენ კლუბშია? მოწაფეები ჩხუბობენ, რასაც აქ მათ არ უშლიან.

სასოწარკვეთილებით განაგრძნობთ:

რა ქნას ჩვენმა კლუბის გამგემ, — იქით დარბის, აქით გარბის, — ხულიგნების ეშინია და ქუჩაში აღარ დადის.

საცოდავი კაცი ყოფილა. ჩვენი რჩევა იქნება გამოიყვანოთ ქუჩაში, თორემ ობი მოეკიდება. ურჩიეთ მიმართოს სათანადო ორგანოებს ხულიგნების საწინააღმდეგო საშუალებებისათვის.

რაც შეეხება თქვენი ლექსის დანარჩენ ნაწილს, გაცნობებთ, რომ მან თქვენი „ჭირი“ წაიღო.

რეჟინის ნაწარმი რეჟინის ნაწარმი რეჟინის ნაწარმი

რეჟინის ნაწარმი



რეჟინის ნაწარმი



ეროვნული ბიზნესი

1. ორი ძველისძველი მეგობარი—ნიკანდრო და სერაპიონი რეჟინის ნაწარმის მაღაზიასთან შეხვდნენ ერთიმეორეს და საუბარი გააბეს.

2. ესენი უთუოდ რიგში დგანან, აღბათ რაღაც ადვილად გადასასყიდელს იძლევიან!—იტიჩრეს გადაწყვიდველებმა.

რეჟინის ნაწარმი



3. მოკლე ხანში რიგი გაიშართა და მაღაზიის კარებიც გააღეს.



4. „მე ორი გამომიწერეთ“, მე სამი“—არ აცდიდნენ გადაწყვიდელები გამყიდველს.

5. და საქონლის შეძენის შემდეგ ყოველმა მათგანმა ასეთი პოჭა მიიღო.